საიდ. №73730/03

IR 1171914

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №37-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის აციონერნოე დრუჟესტვო „ბულგარტაბაკ-ჰოლდინგ“ (AKTSIONERNO DROUJESTVO "BULGARTABAC-HOLDING") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №37-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №3051/03

ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „B" (საიდ. №73730/03, IR 117914) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველში 35-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 დეკემბრის №3051/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშანი „B" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან მსგავსია შპს "Bulgartabac Holding Group FIZ"-ის (მისამართი: თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), ნაკვეთის შიდა ნომერი 1B-7T/68) სახელზე 35-ე კლასის მომსახურების მსგავსი ჩამონათვლისათვის „საქპატენტში" რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „B" (რეგ. N 23473, რეგისტრაციის თარიღი: 18/03/2013). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებული ასო „B"-ს სტილიზებულ ჩანაწერს, რაც გამოიხატება ასო „B"-ში ჩასმული ოთხწახნაგიანი ვარსკვლავის გამოსახულებით. ნიშნების ვიზულური მხარე და ჟღერადობა იმდენად მსგავსია, რომ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში, კერძოდ 35-ე კლასის მომსახურების ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია ოტკრიტოე აკციონერნოე ობშჩესტვო აკციონერნოე დრუჟესტვო „ბულგარტაბაკ-ჰოლდინგ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სადავო არ არის, რომ განცხადებული ნიშანი (IR 1171914) და დაპირისპირებული ნიშანი (რეგ. N23473) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ფერით (განცხადებული ნიშანი არის შავი, დაპირისპირებული კი - ლურჯი), მაგრამ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის ფაქტი, რომ განცხადებულ ნიშანს აქვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. აპელანტის მითითებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის და საქართველოზე გავრცელების თარიღი არის 25.03.2013, მაგრამ მას გააჩნია კონვენციური პრიორიტეტი - 18.10.2012. დაპირისპირებული ნიშანი შეტანილი იყო საქპატენტში სარეგისტრაციოდ 04.03.2013, ექსპერტიზა მიმდინარეობდა დაჩქარებული წარმოების წესით და მეთოთხმეტე დღეზე, კერძოდ, 18.03.2013 ნიშანი დარეგისტრირდა საქპატენტში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №3051/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „B” (საიდ. №73730/03, IR 117914) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველში 35-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა". ამავე კანონის 15[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შევა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით იარსებებს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და აქვეყნებს ბიულეტენში".

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე შეიძლება დადგინდეს პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით (საკონვენციო პრიორიტეტი), თუ ამ თარიღიდან განაცხადის "საქპატენტში" შეტანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა".

ამასთან, „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის" 4 (A) 1 მუხლის თანახმად, „ნებისმიერი პირი ან მისი უფლებამონაცვლე, რომელმაც დადგენილი მოთხოვნების დაცვით კავშირის ერთ - ერთ ქვეყანაში შეიტანა განაცხადი პატენტზე ან სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუშის, ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, სხვა ქვეყნებში შეტანის მიზნით სარგებლობს

პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებით ქვემოთ დადგენილ ვადებში“. ამავე მუხლის C (1) პუნქტის თანახმად, პრიორიტეტის ზემოაღნიშნული ვადები შეადგენს პატენტებისა დასასარგებლო მოდელებისათვის თორმეტ თვეს, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნებისათვის - ექვს თვეს“.

2013 წლის 04 მარტს საქპატენტში დაჩქარებული წესით სარეგისტრაციოდ წარდგენილ იქნა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „B” (საიდ. N71197/03), რომლის პრიორიტეტის თარიღია 04.03.2013წ. აღნიშნული ნიშანი საქპატენტში დარეგისტრირდა 18.03.2013წ. (რეგ. N23473), ვინაიდან ექსპერტიზის ჩატარების მომენტისათვის არ არსებობდა ამ ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განცხადებული ნიშანი „B” (საიდ. N73730/03, IR 1171914) მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით საქართველოზე გასავრცელებლად წარმოდგენილ იქნა 26.08.2013წ., რომლის გავრცელების თარიღს წარმოადგენს 25.03.2013წ. აღნიშნული ნიშანი სარგებლობდა კონვენციური პრიორიტეტის თარიღით 18.10.2012წ. რამდენადაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შემოვიდა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი, დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-8 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „B” (რეგ. N23473) დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი სარგებლობს უფრო ადრინდელი პირორიტეტის უფლებით და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების პირობებში აღარ იარსებებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „B” (საიდ. №73730/03, IR 117914) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის აკციონერნოე დრუჟესტვო „ბულგარტაბაკ-ჰოლდინგ“ (AKTSIONERNO DROUJESTVO "BULGARTABAC-HOLDING") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 05 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ“ №3051/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „B” (საიდ. №73730/03, IR 117914) უარი ეთქვა საქართველში დაცვის მინიჭებაზე 35-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „B” (საიდ. №73730/03, IR 117914) მიენიჭოს დაცვა საქართველოში, ასევე 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გაუქმდეს სასაქონლო ნიშნის „B” (რეგ. N23473, რეგ. თარ: 18/03/2013წ.) რეგისტრაცია.
5. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:

ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ლ. ახობაძე

მ. ჭიჭინაძე